შენ ირჩევ პრეზიდენტს

საქართველო

ირჩევს მეოთხე პრეზიდენტს

?

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

DIGNITY
LIBERTY
EQUALITY

პრეზიდენტობის კანდიდატები

კობა დავითაშვილი

4

პარტია: "ხალხის პარტია"
რიგითი ნომერი - 4
დაბადების თარიღი/ადგილი — 1971 წლის 31 ივლისი, ქ.თბილისი.
უმაღლესი განათლება: დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართალი ბიზნესის ორგანიზაცია და მენეჯმენტის სპეციალობით.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

ნესტან კირთაძე

12

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 12
პროფესია: ისტორიკოსი, დიპლომატი.
დაბადების თარიღი/ადგილი — 1961 წლის 8 ივნისი, ქ. ქუთაისი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე, ერთი ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი.

ზურაბ ხარაზიშვილი

15

პარტია: "საქართველოს ევროპელი დემოკრატები"
რიგითი ნომერი — 15
დაბადების თარიღი/ადგილი — 1967 წლის 14 ნოემბერი, ქ.თბილისი.
უმაღლესი განათლება: დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

სერგო ჯავახიძე

3

პარტია: "სამართლიანი საქართველოსთვის"
რიგითი ნომერი — 3
დაბადების თარიღი/ადგილი — 1970 წლის 14 ივლისი, ქ.ბორჯომი.
პროფესია: იურისტი, ეკონომისტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

პოლიცია არჩევნების უსაფრთხოებას დაიცავს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცესკოს თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების მნიშვნელობას შეეხო. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, პოლიცია მობილიზებული იქნება იმისთვის, რომ არჩევნების დღეს ნებისმიერი ექსცესი აღმოფხვრას.

„ძალიან კარგი სამუშაო შეხვედრა მქონდა ცესკოს თავმჯდომარესთან. ჩვენ ვისაუბრეთ არჩევნების დღესთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მინდა აღვნიშნო, რომ პოლიცია იქნება სრულად მობილიზებული იმისთვის, რომ არჩევნების დღეს აღმოვფხვრათ ნებისმიერი ექსცესი და არ დავუშვათ პროვოკაცია რომელიმე უბანზე",-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეხვედრის შესახებ კომენტარი თამარ ჟვანიამაც გააკეთა. „ჩვენ შევეხეთ კანონმდებლობის პროცედურებს ანუ რა უფლება-მოვალეობები აქვთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და კონკრეტულად პოლიციის თანამშრომლებს, როგორ უნდა მოქმედებდნენ ისინი კანონის შესაბამისად არჩევნების დღეს",-აღნიშნა თამარ ჟვანიამ.

პატრიარქი საზოგადოებას არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდებს

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ 2013 წლის 20 ოქტომბრის საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას განაცხადა, რომ მოსახლეობამ იმას უნდა მისცეს ხმა, ვისაც საქართველოს დახმარება შეუძლია. „საპრეზიდენტო არჩევნებამდე 1 კვირა დარჩა. მოვუწოდებ მოსახლეობას, მივიდეს არჩევნებზე და იმას მისცეს ხმა, ვისაც შეუძლია, საქართველოს დამხმარება და ვინც ამ თანამდებობის ღირსად მიაჩნიათ" - ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპოსკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

აშშ-ის სურვილია, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყოს

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის სურვილია, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყოს , - ამის შესახებ ამერიკის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებს განუცხადა. „ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო თანამეგობრობა მჭიდროდ დააკვირდება საქართველოს მიერ გადადგმულ შემდეგ ნაბიჯს დემოკრატიის გზაზე და მის შესაბამისობას საერთაშორისო პრინციპებთან", - აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა.

რა უფლებებით ისარგებლებს საქართველოს ახალი პრეზიდენტი



27 ოქტომბერს საქართველო რიგით მეოთხე პრეზიდენტს აირჩევს, რომელსაც მოქმედი პრეზიდენტისგან განსხვავებით შემცირებული ფუნქციები ექნება. გთავაზობთ ჩამონათვალს, თუ რა უფლებებით ისარგებლებს საქართველოს ახალი პრეზიდენტი.

1. სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.
2. უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.
3. არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
4. წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.
5. მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
6. დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა დაშეთანხმებებს.
7. მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს.
8. მთავრობასთან შეთანხმებით იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას.
9. საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან.
10. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს.
11. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს, ათავისუფლებს და გადააყენებს თანამდებობის პირებს.
12. ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს.
13. მონაწილეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებისა და თავმჯდომარის თანამდებობაზე განწესებაში.
14. მთავრობასთან შეთანხმებით პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურებს.
15. საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას.
16. აცხადებს საომარ მდგომარეობას, დებს ზავს და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.
17. აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.
18. წყვეტს და ანიჭებს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს.
19. ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს.
20. შეიწყალებს მსჯავრდებულთ.
21. დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში დადადგენილი წესით.
22. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს.
23. ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს.
24. მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.
25. უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს.

www.ambebi.ge

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3, 537, 719 მოქალაქეს შეადგენს

საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3, 537, 719 მოქალაქეს შეადგენს. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, საინფორმაციო ბრიფინგი გაიმართა, სადაც ცესკო-ს სპიკერმა ეკატერინე აზარაშვილმა მედიას 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა გააცნო.

ცესკო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას აქვეყნებს, რომელიც შეადგენს - 3, 537, 719-ს. მათივე ცნობით, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 3, 613, 851-ს. ცესკო-ს განმარტებით, ამ განსხვავების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მოქალაქეების რეგისტრაციიდან მოხსნა გახდა.

"მათი რაოდენობა შეადგენდა 98, 000-ს. ამ რაოდენობიდან საარჩევნო მიზნებისთვის მოხდა მათი ფილტრაცია, რის საფუძველზეც საარჩევნო ადმინისტრაციამ შესაბამის უბნებში გამოაკრა 74 896 რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქის სია და მათ შესაძლებლობა მისცა გადაემოწმებინათ საკუთარი სტატუსი", - განუცხადა ეკატერინე აზარაშვილმა ჟურნალისტებს.

ცესკო-ს ცნობით, 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, საზღვარგარეთ გახსნილ 52 საარჩევნო უბანში, 48 458 ამომრჩეველს კენჭისყრაში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება. 2012 წელს, პარლამენტის არჩევნებზე საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 45, 100-ს.

"სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლებიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 9, 142 მოქალაქემ. შესაბამისად, ისინი მიიღებენ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში. ვინც კანონით დადგენილ ვადაში ვერ შეძლო რეგისტრაციის გავლა, ისინი ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში. ამომრჩეველთა სიაში ასევე ვერ მოხვდა საზღვარგარეთ მყოფი 3, 979 საქართველოს მოქალაქე, რომელთა რეგისტრაციაც გაუქმებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. ცესკო, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან ერთად ახორციელებს საზღვარგარეთ მყოფი რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქეების ინფორმირებას", - აღნიშნა ცესკო-ს სპიკერმა.

ამასთან, ცესკო-ს ცნობით, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესი 21 ოქტომბრიდან დაიწყება. ბიულეტენები თბილისის 10 სტამბაში დაიბეჭდება. ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს ცესკო-ს წევრებთან ერთად, 7 არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლები დააკვირდებიან.

"ინტერპრესნიუსი"

პრეზიდენტობის კანდიდატები

გიორგი მარგველაშვილი

41

პარტია: "ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო"
რიგითი ნომერი - 41
დაბადების თარიღი/ადგილი — 1969 წლის 4 სექტემბერი, ქ.თბილისი.
პროფესია : ფილოსოფოსი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს ორი შვილი.

ნინო ბურჯანაძე

14

პარტია: "დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო"
რიგითი ნომერი - 14
დაბადების თარიღი/ადგილი - 1964 წლის 16 ივლისი, ქ.ქუთაისი.
პროფესია: იურისტი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გიორგი თარგამაძე

10

პარტია: "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"
რიგითი ნომერი - 10
დაბადების თარიღი/ადგილი — 1973 წლის 22 ნოემბერი, ქ.თბილისი.
პროფესია: ჟურნალისტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დავით ბაქრაძე

5

პარტია: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
რიგითი ნომერი — 5
დაბადების თარიღი/ადგილი — 1972 წლის 1 ივლისი, ქ.თბილისი.
უმაღლესი განათლება: დაამთავრა სახელმწიფო მმართველობის ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი სახელმწიფო მართვის სპეციალობით; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟირო-ფიზიკური ფაკულტეტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

პრეზიდენტობის კანდიდატები

შალვა ნათელაშვილი

9

პარტია: "საქართველოს ლეიბორისტული პარტია"
რიგითი ნომერი - 9
დაბადების თარიღი/ადგილი - 1958 წლის 17 თებერვალი, დუშეთის რაიონი.
პროფესია: იურისტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნინო ჭანიშვილი

7

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 7
დაბადების თარიღი/ადგილი - 1975 წლის 23 ივნისი, ქ. თბილისი
პროფესია: ფსიქოლოგი, ეკონომისტ-იურისტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

აკაკი ასათიანი

6

პარტია: "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი"
რიგითი ნომერი - 6
დაბადების თარიღი/ადგილი - 1953 წელი, თბილისი.
პროფესია: ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და 2 (ორი) შვილი.

თამაზ ბიბილური

1

წარმდგენი: საინციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი - 1
დაბადების თარიღი/ადგილი — 1945 წლის 12 სექტემბერი, ქ.თბილისი.
პროფესია: ჟურნალისტი, კინოსა და ტელევიზიის რეჟისორი.
ოჯახური მდგომარეობა: განქორწილებული, ჰყავს ორი შვილი.

როდის და როგორ უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის ინაუგურაცია

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების წინ წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს. მოცემულ ცერემონიას პრეზიდენტის ინაუგურაცია ეწოდება.

ინაუგურაციას მნიშვნელოვანი სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია. სწორედ კონსტიტუციით განსაზღვრული ფიცის დადების შემდგომ ითვლება პრეზიდენტი უფლებამოსილად განახორციელოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები. ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე კი მოქმედ პრეზიდენტს უწყდება უფლებამოსილება.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს. პრეზიდენტის არჩევის დღედ კენჭისყრის ჩატარების დღე უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ნების გამოხატვა ამომრჩეველთა მხრიდან სწორედ ამ დღეს მოხდა და ათვლაც სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. ცენტრალური საარჩევნო კომისიაც ვალდებულია კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-20 დღისა შეაჯამოს შედეგები. შესაბამისად, წლევანდელი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია, თუ მეორე ტურის დანიშვნა არ გახდა საჭირო, გაიმართება 17 ნოემბერს.

ინაუგურაციის ცერემონია ტარდება „საქართველოში საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (სსმ, 110, 16/10/2001) განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ინაუგურაციის დღეს საქართველოს პრეზიდენტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გვირგვინით ამკობს ილია ჭავჭავაძის საფლავს. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი და თანმხლები პირები შემოივლიან პანთეონს.

საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია ტარდება საქართველოს პარლამენტის შენობაში, სადაც პრეზიდენტის ფლიგელის ფოიეში საქართველოს პრეზიდენტსა და მისი ოჯახის წევრებს ხვდებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ტრიბუნის წინ განლაგებულია სიმფონიური ორკესტრი, ხოლო ქუჩის მოპირდაპირე მხარეს — თავდაცვის სამინისტროს ორკესტრი. პარლამენტის ცენტრალურ შესასვლელში ჩამწკრივებულია საპატიო ყარაულის კორიდორი. რუსთაველის პროსპექტზე დგანან საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილები;

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის დასაწყისში ცხადდება: „საქართველოს პრეზიდენტი". საპატიო ყარაულის ჯარისკაცები აღებენ პარლამენტის ჭიშკარს. საქართველოს პრეზიდენტი, მისი მეუღლე და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იკავებენ ადგილებს ტრიბუნასთან განლაგებულ სავარძლებში. საქართველოს პრეზიდენტის ოჯახის წევრები და სხვა თანმხლები პირები იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს ტრიბუნის გვერდით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იკავებს ადგილს ტრიბუნასთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წარმოთქვამს სიტყვას და იწვევს საქართველოს პრეზიდენტს ფიცის დასადებად.

საქართველოს პრეზიდენტი მარჯვენა ხელს ადებს კონსტიტუციას და წარმოთქვამს ფიცს: „მე საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისთვის".

ფიცის დამთავრებისთანავე სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და 7 საზეიმო საარტილერიო ზალპი. აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა. საქართველოს პრეზიდენტი მიმართავს საქართველოს მოსახლეობას. სამარშო მუსიკის თანხლებით იწყება სამხედრო აღლუმი ჯარის ნაწილების მონაწილეობით. საქართველოს პრეზიდენტი ესალმება დამსწრე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების აღსანიშნავად საღამოს გაიმართება საზეიმო მიღება საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის სახელით.

მოცემულ ბრძანებულებაში, სადაც აღნიშნული წესია გაწერილი, ბოლო ცვლილება 2003 წელს შევიდა. აშკარაა, რომ ცერემონიალის პროცედურა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების ცვლილების გამო, გადახედვას საჭიროებს. მაგალითისთვის, დასაზუსტებელია, ინაუგურაცია კვლავ დედაქალაქში გაიმართება, თუ პარლამენტის ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით, რაც აუცილებლად გამოიწვევს პროტოკოლში მთელ რიგ ტექნიკურ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ მოცემულ წესში ცვლილების შეტანა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია.

კახა ურიადმყოფელი
იურისტი

პრეზიდენტის არჩევნებს 60 ადგილობრივი, 63 საერთაშორისო ორგანიზაცია და 104 მედია გამოცემა დააკვირდება

2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე დასაკვირვებლად რეგისტრაცია 60-მა ადგილობრივმა ორგანიზაციამ გაიარა. ცესკო-ს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ადგილობრივი ორგანიზაციების რეგისტრაციის ვადა უკვე ამოიწურა. ცესკოს ინფორმაციით არჩევნებს რეგისტრირებული 63 საერთაშორისო ორგანიზაციაც დააკვირდება. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აკრედიტებული მედია-ორგანიზაციების რაოდენობა კი 104-ს შეადგენს.

რაც შეეხება მედიასაშუალებებს, მათი რეგისტრაციის ვადა 24 ოქტომბერს იწურება. ამ დროისათვის კი ცესკო-ში 92 მედიასაშუალებაა რეგისტრირებული.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება უცხოეთში მყოფ საქართველოს 48, 458 მოქალაქეს შეეძლება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, საზღვარგარეთ 52 საარჩევნო უბანია გახსნილი, სადაც მონაწილეობის შესაძლებლობა 48, 458 ამომრჩეველს ექნება.

საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების რეგისტრაციის ვადა 10 ოქტომბრის ჩათვლით იყო. ასევე, ცნობილია იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელთა რეგისტრაციაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაუქმებულია. ეს მაჩვენებელი 3, 979 ადამიანს შეადგენს.

ცესკო, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან ერთად, საზღვარგარეთ მყოფი რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქეების ინფორმირებას ახორციელებს.

საპრეზიდენტო არჩევნებს "ახალგაზრდა ადვოკატებიც" დააკვირდებიან

1.სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)- აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია(რეგ. განკარგულება №179 12.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 260

2. დემოკრატიის ცენტრი- გამგეობის თავმჯდომარე ბადრი ნიაური(რეგ. განკარგულება №189 16.07.2013)

3.უფლებები და თავისუფლებები-კავშირი- დირექტორი ნათია ლობჟანიძე(რეგ. განკარგულება №190 16.07.2013)

4.განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი- თავმჯდომარე ქეთევან ჩაჩავა(რეგ. განკარგულება №194 16.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 87

5. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია- თავმჯდომარე კახა კოჟორაძე(რეგ. განკარგულება №196 19.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 21

6. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი- თავმჯდომარე ვლადიმერ ბოჟაძე(რეგ. განკარგულება №197 19.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 8

7. ,,ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია"-თავმჯდომარე გრიგოლ გაგნიძე(რეგ. განკარგულება №203 24.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 28

8. სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია-ორგანიზაციის პრეზიდენტი გივი მამულაძე(რეგ. განკარგულება №204 24.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 60

9. ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"- აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური (რეგ. განკარგულება №202 24.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 39

10. „თავისუფალი არჩევანი"- თავმჯდომარე მანანა ბიწაძე-მიქელაძე(რეგ. განკარგულება №208 24.07.2013)

11.„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის"- თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე(რეგ. განკარგულება №209 29.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 940

12.ახალი თაობა-დემოკრატიული საქართველოსათვის-თავმჯდომარე ტატიანა ხოხიაშვილი(რეგ. განკარგულება №210 29.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 163

13.სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები-თავმჯდომარე თეიმურაზ გაბიტაშვილი(რეგ. განკარგულება №211 29.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 70

14.საერთო-სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"- თავმჯდომარე არნოლდ სტეფანიანი(რეგ. განკარგულება №212 29.07.2013)

15. „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი"- თავმჯდომარე დანიელ დავითაშვილი (რეგ. განკარგულება №213 29.07.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 1

16. "კონფლიქტების ანალიზისა და მართვის ევრაზიის ინსტიტუტი"- თავმჯდომარე ინგა მოსიაშვილი(რეგ. განკარგულება №214 29.07.2013)

17.საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი-კავშირის თავმჯდომარე დავით ლილუაშვილი(რეგ. განკარგულება №218 02.08.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 11

18. "სიმართლის რწმენა"-თავმჯდომარე გ.ჩარკვიანი(რეგ.განკარგულება №219 02.08.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 3

19. "ქართული ალტერნატივა"-გამგეობის თავმჯდომარე თემურ არბოლიშვილი(რეგ. განკარგულება №220 02.08.2013)

20.საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი-გამგეობის თავმჯდომარე თამილა ფერაძე(რეგ. განკარგულება №226 06.08.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 117

21.კონსტიტუციის დაცვის კავშირი-თავმჯდომარე გ. ფაცურია(რეგ. განკარგულება №231 09.08.2013)

22. "ბორჯღალი"-თავმჯდომარე ილია გუჩმანიძე(რეგ. განკარგულება №239 15.08.2013)

23. "ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის"-თავმჯდომარე მიხეილ ანდღულაძე(რეგ. განკარგულება №240 15.08.2013)

24.„საზოგადოებრივი დამცველი"-თავმჯდომარე ირინა ფუტკარაძე(რეგ. განკარგულება №241 15.08.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 8

25.„ჯანმრთელი სამყარო"-თავმჯდომარე ზურაბ ფუტკარაძე(რეგ. განკარგულება №242 15.08.2013)

26.„ევროპულ დემოკრატიული ცენტრი"-თავმჯდომარე ი. შეთეკაური(რეგ. განკარგულება №248 19.08.2013)

27.„საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირი"-თავმჯდომარე მამუკა ტუსკაძე(რეგ. განკარგულება №276 03.09.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 7

28.„ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები"-თავმჯდომარე ლევან გაბრიჩიძე(რეგ. განკარგულება №282 06.09.2013)

29.„მწვანე დედამიწა"-დირექტორი ნუგზარ მელაძე(რეგ. განკარგულება №283 06.09.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 4

30.კავშირი „თემი და თვითმმართველობა"-თავმჯდომარე ნინო კუჭავა (რეგ. განკარგულება №288 10.09.2013)

31.„დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია-თავისუფალი პრესა"-თავმჯდომარე ფაუსტ ნადარაია(რეგ. განკარგულება №287 10.09.2013)

32.„სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელი"-გამგეობის თავმჯდომარე შმაგი ჩოხელი (რეგ. განკარგულება №291 12.09.2013)

33.სამართლებრივი დახმარებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი-თავმჯდომარე გია გურგენიძე(რეგ. განკარგულება №292 12.09.2013)

34.უფლებადამცველთა გაერთიანება-თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე(რეგ. განკარგულება №307 16.09.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 1

35.ეკონომიკურ დანაშაულთან, კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის კავშირი"-თავმჯდომარე ბორის მამისაშვილი(რეგ. განკარგულება №314 17.09.2013)

36.„საქართველოს მარტოხელების, მარტოხელა ინვალიდ-პენსიონერთა და მარტოხელა დედათა დახმარების კავშირი"-თავმჯდომარე ნ. ლომსაძე(რეგ. განკარგულება №318 17.09.2013)

37.„ახალი თაობა-ახალი ინიციატივა"-თავმჯდომარე მიხეილ დევდარიანი(რეგ. განკარგულება №325 20.09.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 15

38. "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი"- თავმჯდომარე კონსტანტინე კანდელაკი(რეგ. განკარგულება №342 26.09.2013)

39.ადამიანის უფლებათა ცენტრი-ორგანიზაციის იურისტი თამარ ლუკავა(რეგ. განკარგულება №356 30.09.2013) დამკვირვებელთა რაოდენობა - 74

40.მომავლის არჩევანი- დირექტორი ირაკლი ებანოიძე(რეგ. განკარგულება №366 30.09.2013)

41.ქართველ მეცნიერთა ასოციაცია-პრეზიდენტი ლ. მამულაშვილი(რეგ. განკარგულება №375 03.10.2013)

42.უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის- თავმჯდომარედავით ჩიხლაძე(რეგ. განკარგულება №373 03.10.2013)

43.დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების ცენტრი-აღ. დირექტორი მიხეილ კალანდარიშვილი(რეგ. განკარგულება №374 03.10.2013)

44.„ლტოლვილთა და უმცირესობათა პრობლემების ინსტიტუტი"-დირექტორი მალხაზ ჩემია(რეგ. განკარგულება №384 07.10.2013)

45.ადამიანის უფლებათა დაცვისა და დახმარების საერთაშორისო კავშირი „ნდობა"-თავმჯდომარე ილია ბარბაქაძე(რეგ. განკარგულება №390 07.10.2013)

46.„საქართველოს იდეალისტები ერთად ერთობისათვის ასოციაცია"- თავმჯდომარე ლაშა ქურდაძე(რეგ. განკარგულება №392 08.10.2013)დამკვირვებლების რაოდენობა - 2

47.„ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია"-თავმჯდომარე გიორგი თევზაძე(რეგ. განკარგულება №403 09.10.2013)

48.არასამთავრობოთა კოალიცია სიკეთე-თავმჯდ. ნიკოლოზ მენთეშაშვილი(რეგ. განკარგულება №404 11.10.2013)

49.„ვეჟინი"-აღმასრულებელი დირექტორი ლაურა ხარიტონაშვილი(რეგ. განკარგულება №417 14.10.2013)

50.„საქართველოს დემოკრატიის ინსტიტუტი"-ლევან გოგიჩაიშვილი(რეგ. განკარგულება №428 15.10.2013)

51.„თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია"-გამგეობის თავმჯდომარეემზარ პაქსაძე(რეგ. განკარგულება №429 15.10.2013)

52.„ახალგაზრდა ადვოკატები"-თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი(რეგ. განკარგულება №430 15.10.2013)

53.„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის"-თავმჯდომარე გიორგი ძნელაძე(რეგ. განკარგულება №431 15.10.2013)

54.„საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია"-პრეზიდენტი თორნიკე ჭეიშვილი(რეგ. განკარგულება №439 16.10.2013)

55.„ადამიანი, კანონი, თავისუფლება"-თავმჯდომარე გიორგი ჭულუხაძე (რეგ. განკარგულება №449 17.10.2013)

56.„ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია"-პრეზიდენტი ე. ფაჟავა (რეგ. განკარგულება №450 17.10.2013)

57.„საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი"-თავმჯდომარე ნინო ჭანტურია(რეგ. განკარგულება №451 17.10.2013)

58.მოძრაობა ,,ქართული რეალობა"- თავმჯდომარე ლანა ნეფარიძე(რეგ. განკარგულება №458 17.10.2013)

59.ასოციაცია ,,ქალი და განვითარება"-ფატი ბუცხრიკიძე(რეგ. განკარგულება №459 17.10.2013)

60.,,საქართველოს ადამიანთა და პატიმართა უფლებების დაცვის საზოგადოება"-თავმჯდომარე გოჩა კვესაძე(რეგ. განკარგულება №460 17.10.2013).

პრეზიდენტობის კანდიდატები

გიორგი ლილუაშვილი

2

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი - 2
დაბადების თარიღი/ადგილი — 1973 წლის 16 ნომბერი. ქ.ზესტაფონი.
პროფესია: იურისტი.
ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი.

ლევან ჩაჩუა

11

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 11
დაბადების თარიღი/ადგილი — 1971 წლის 21 აპრილი, ქ.თბილისი.
უმაღლესი განათლება: დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით - ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

თეიმურაზ ბობოხიძე

8

წარმდგენი: საინციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი - 8
დაბადების თარიღი/ადგილი - 1968 წლის 20 ოქტომბერი, ქ.თბილისი.
პროფესია: ეკონომისტი .
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს 2 შვილი.

გიორგი ჩიხლაძე

13

წარმდგენი: საინციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი - 13
დაბადების თარიღი/ადგილი — 1964 წლის 29 ნოემბერი, ქ.თბილისი.
პროფესია: დამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემათიკის ფაკულტეტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

პრეზიდენტობის კანდიდატები

მიხეილ სალუაშვილი

16

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი - 16
დაბადების თარიღი/ადგილი — 1958 წლის 16 ივლისი, ქ.თბილისი.
უმაღლესი განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით "სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა".
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს ორი ვაჟი.

ქართლოს ღარიბაშვილი

17

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 17
დაბადების თარიღი/ადგილი — 1954 წლის 25 აპრილი, თეთრიწყაროს რაიონი, სოფ.ჯორჯიაშვილი.
პროფესია: იურისტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს ერთი შვილი.

ავთანდილ მარგიანი

19

წარმდგენი: საინციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 19
დაბადების თარიღი/ადგილი — 1945 წელი, ქ.მესტია.
უმაღლესი განათლება: დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნუგზარ ავალიანი

20

წარმდგენი: საინციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 20
დაბადების თარიღი/ადგილი — 1942 წლის იანვარი,
უმაღლესი განათლება: დაამთავრა საქარტველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

საპრეზიდენტო არჩევნები – 2013

ამომრჩევლის უფლებები

ამომრჩევლის ძირითად უფლებას — ხმის მიცემის უფლება წარმოადგენს. ხმის მიცემის უფლება თავის მხრივ გულისხმობს ამომრჩევლის უფლებას გააკეთოს თავისუფალი არჩევანი და ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატს ფარული კენჭისყრის გზით.

2013 წლის 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელთაც 2013 წლის 27 ოქტომბრამდე ან 27 ოქტომბერს შეუსრულდათ 18 წელი.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული.

თითოეული ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობისას სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

თითოეულ ამომრჩეველს უფლება აქვს შესაბამის საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უფლებით ისარგებლოს ნებისმიერ დროს დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

არსებობს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება. აქტიური საარჩევნო უფლება გულისხმობს საქართველოს მოქალაქის უფლებას ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლებას, ეს არის საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

სიების ფორმირება

ამომრჩეველთა ერთიანი სია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სიაა, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისთვის, მისი კომპიუტერული დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის ინტერნეტში — ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ამომრჩევლის შესახებ შემდეგი მონაცემები:

1.გვარი, სახელი;
2.დაბადების თარიღი;
3.მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით);
4.საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი;
5.ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის აღინიშნება დროებითი საცხოვრებლის მისამართი; სხვა სახელმწიფოში მყოფი პირისთვის მიეთითება "საკონსულო აღრიცხვაზეა", ხოლო თუ ასეთი პირი არ იმყოფება საკონსულო აღრიცხვაზე — "იმყოფება საზღვარგარეთ;
6.ამომრჩევლის ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი.

გადამოწმება ამომრჩეველთა სიაში ყოფნის თაობაზე

იმისთვის, რომ პირმა გადაამოწმოს არის თუ არა ამომრჩეველთა სიაში, უნდა მიმართოს ცესკოს ვებ-გვერდს http://voters.cec.gov.ge/, სადაც გაიხსნება სურათზე ნაჩვენები ფანჯარა, რომელშიც უნდა შეიყვანოს პირადი ნომერი და გვარი. ძებნის ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოჩნდება შესაბამისი ინფორმაცია.

უბნები

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით
საქართველოს მასშტაბით არის 73 ოლქი.
საზღვარგარეთ - 50.
თბილისში - 10 ოლქი და 752 უბანი.

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 07:00 საათზე, ხოლო კენჭისყრა იწყება 08:00 საათზე.

კენჭისყრის შენობა იხურება 20:00 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ.

პროცედურები, რომელსაც გაღის ამომრჩეველი უბანზე ხმის მისაცემად

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. მას შემდეგ რაც დამტკიცდება, რომ ამომრჩეველი არაა მარკირებული, მოქალაქე მიდის სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო და ამომრჩეველთა რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი - ასევე დევნილის მოწმობას. ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს მის მარკირებას, რის შემდეგაც ამომრჩეველთა რეგისტრატორი ხელს აწერს ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგ ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტინის მიღებას. საარჩევნო ბიულეტინის გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი ხელს აწერს მის უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტინს ამოწმებს სპეციალური ბეჭდით. საარჩევნო ბიულეტენის დამოწმების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს. შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ბიულეტენი ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს ვის მისცა ხმა. დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენით ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს, მასში ათავსებს ბიულეტენს და აგდებს საარჩევნო ყუთში.

საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტინი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა. მნიშვნელოვანია ამომრჩეველმა იცოდეს, რომ საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი.

არჩევნების შედეგების შეჯამება

ცესკო კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-20 დღისა აჯამებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და აფორმებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცესკო პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონანილეთა ნახევარზე მეტმა ამომრჩეველმა.

მეორე ტური

თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენონა (50% + 1 ხმა), ინიშნება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს ცესკო. არჩევნების მეორე ტური იმართება არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ პირველ ტურში პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, მეორე ტურში მონაწილის ვინაობა ვლინდება წილისყრით.

მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო.

ხელახალი არჩევნები

იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ და მეორე ტურში მონაწილე ყველა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, პარლამენტი ნიშნავს ხელახალ არჩევნებს, საერთო არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 თვის ვადაში.

როგორ ხდება საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაცია და ვინ შეიძლება გახდეს საპრეზიდენტო კანდიდატი

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას (პარტიას) ან ამომრჩეველთა 5 კაციან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

ცესკოში რეგისტრირებულ პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვთ წარადგინონ საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი. კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. განცხადებას ხელს აწერს პარტიის ხელმძღვანელი პირი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი.

საქართველოს "საარჩევნო კოდექსის" თანახმად, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციის შემთხვევაში, რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 10 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრირებულ კანდიდატთა ნუსხა 23 კანდიდატს შეადგენს.

ესენია:

№	პრეზიდენტობის კანდიდატები	რიგითი ნომერი
1	მიხეილ სალუაშვილი	16
2	ნესტან კირთაძე	12
3	შალვა ნათელაშვილი	9
4	მამუკა ჭოხონელიძე	18
5	გიორგი თარგამაძე	10
6	სერგო ჯავახიძე	3
7	გიორგი ლილუაშვილი	2
8	ლევან ჩაჩუა	11
9	ავთანდილ მარგიანი	19
10	მამუკა მელიქიშვილი	21
11	ნუგზარ ავალიანი	20
12	თეიმურაზ ბობოხიძე	8
13	თამაზ ბიბილური	1
14	დავით ბაქრაძე	5
15	გიორგი მარგველაშვილი	41
16	კობა დავითაშვილი	4
17	აკაკი ასათიანი	6
18	ნინო ბურჯანაძე	14
19	ნინო ჭანიშვილი	7
20	ზურაბ ხარატიშვილი	15
21	ქართლოს დარიბაშვილი	17
22	თეიმურაზ მჟავია	22
23	გიორგი ჩიხლაძე	13

კვალიფიციური სუბიექტების წარმდგენი, პოლიტიკური გაერთიანებებია:
- გიორგი მარგველაშვილი - პ/გ ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო;
- დავით ბაქრაძე - პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
- კობა დავითაშვილი - ხალხის პარტია;
- სერგო ჯავახიძე - მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის";
- გიოგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;

(დასასრული 7 გვ.)

საპრეზიდენტო არჩევნები – 2013

(დასაწყისი 6 გვ.)

- ზურაბ ხარატიშვილი - ევროპელი დემოკრატები;
- თეიმურაზ მჟავია - ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია.

კვალიფიციური სუბიექტი არის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს ის პარტია, მრომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ან ბოლო ადგილობრივ თვითმართველობის საერთო არჩევნებში მიიღო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან მეტი.

კვალიფიციური კანდიდატების საარჩევნო კამპანიის შესახებ ინფორმაცია (უფლებები, სარეკლამო კამპანია, დაფინანსებები)

საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, ყველა კვალიფიციურ კანდიდატს საერთო მაუწყებლის მქონე ტელეკომპანიის ეთერში, უფლება აქვს ყოველ 3 საათში 90 წამის ოდენობით განათავსოს უფასო პოლიტიკური რეკლამა.

ხოლო, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ასევე სათემო მაუწყებელი, რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებული არიან, საკუთარ ეთერში განათავსონ წინასაარჩევნო რეკლამა ყოველ საათში 60 წამის ოდენობით ყოველი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის. დაუშვებელია გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება სხვა კუთვნილი დროისათვის.

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის უსასყიდლო საეთერო დროით სარგებლობენ შემდეგი სუბიექტები:

- დავით ბაქრაძე
- გიორგი მარგველაშვილი
- კობა დავითაშვილი
- სერგო ჯავახაძე
- გიორგი თარგამაძე
- ზურაბ ხარატიშვილი
- თეიმურაზ მჟავია

თითოეულ საპრეზიდენტო კანდიდატს უფლება აქვს გამოვიდეს მომავალი საქმიანობის პროგრამით და აწარმოოს საარჩევნო კამპანია (აგიტაცია), ამ მხრივ მათ თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიდოში საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფოტომასალები და სხვა. სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების/მფლობელების თანხმობით.

საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10 პროცენტს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად.

კვალიფიციური კანდიდატების სარჩევნო პროგრამები

გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო პროგრამა

სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების, როგორც კონსტიტუციური უფლების დაცვას. ჯანდაცვის რეფორმის მნიშვნელობა ქვეყნის განვითრებისთვის ფუნდამენტურია. მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს პრევენციულ მედიცინაზე. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ დემოკრატია, დემოკრატიული ინსტიტუტები და პროცედურები. აუცილებელია მოქალაქეთა სრულუფლებიანი მონაწილეობა ქვეყნის მართვაში. ადგილობრივი მმართველობები ავტონომიურნი უნდა იყვნენ ცენტრისაგან და, ამავე დროს,- ანაგარიშვალდებულნი უშუალოდ ადგილობრივი მოსახელობის წინაშე.ადამიანის უფლებები უნივერსალური და საყოველთაოა. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ამა თუ იმ ნიშნით ადამიანთა დევნა, შევიწროება და დისკრიმინაცია.აუცილებელია საგარეო პოლიტიკის გააქტიურება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, საერთაშორისო და რეგიონალურ პარტნიორებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების, რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერების, საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტივობის ზრდის, არაღიარების პოლიტიკის გაგრძელების და ქვეყნის დეოკუპაციის უზრუნველსაყოფად.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, დეოკუპაციას და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ თანამემამულეებს ვთავაზობთ ერთად ვაშენოთ წარმატებული დემოკრატიული სახელწიფო.

სერგო ჯავახიძის საარჩევნო პროგრამა

სახელმწიფო მართვის საპარლამენტო სისტემა (ევროპული მოდელი) დიდად შეუწყობს ხელს: ქვეყანაში ავტორიტარიზმის და ერთპიროვნული მმართველობის თავიდან აცილებას; სამოქალაქო საზოგადოებისა სა პოლიტიკური პარტიების განვითარებას; პოლიტიკური თანხმობის მიღწევას; სტაბილური, დემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბებას; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას; კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და საქართველოს გაერთიანებას; მთლიანდ გამოირიცხება ერისათვის დიდად საზიანო და სახიფათო გადაწყვეტილებების მიღება და მათი სპონტანური განხორციელება. საარსებო მინიმუმის გადახედვა; შეიცვალოს საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესი; გაუტოლდეს პენსია საარსებო მინიმუმს; შემუშავდეს ადრესირებული სოციალური დახმარების სისტემა. საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორი წარმართვით, ჩვენ აღვადგენთ ჩვენი მოკავშირეების ნდობას. გავაფართოვებთ და გავაღრმავებთ ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს. ჩვენ უარს ვამბობთ ძალის გამოყენებით კონფლიქტების მოგვარებაზე. გვინდა გაერთიანება და აფხაზ და ოს ხალხთან ერთად თანაცხოვრება; უნდა ვიპოვოთ საერთო ენა აფხაზებთან და ოსებთან; საქართველო, მათ შორის, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ვერ იარსებებს აფხაზების და ოსების გარეშე, მაგრამ ვერც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იარსებებს საქართველოს გარეშე; ჩვენ უნდა შევქმნათ ქართველებისა და აფხაზების, ქართველების და ოსების ერთად ცხოვრების ღირსეული პირობები. პირველი ნაბიჯი ამ გეგმის განსახორციელებლად უნდა იყოს ახალგორის და გალის რაიონების და კოდორის ხეობის დემილიტარიზაცია; დევნილების უსაფრთხო დაბრუნება; მხოლოდ საერთაშორისო პოლიციური ძალების კონტროლის დაწესება; საერთაშორისო ეგიდით ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება.

ზურაბ ხარატიშვილის საარჩევნო პროგრამა

უაღრესად მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ თუ როგორი სურათის პირობებში ვცხოვრობთ. ჩვენი რეალობა- 1,5 მილიონიანი თბილისი და დანარჩენი პროვინციული საქართველო, ელიტების თავმოყრა თბილისში და „ლიდერშიფის“ დეფიციტი რეგიონებში, ურბანული განვითარების საჭიროება, საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის აუცილებლობა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი ტერიტორიული მოწყობის საკითხებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების მმართველობითი ფუნქციების შესახებ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯერ უნდა ჩამოვაყალიბოთ საჯარო/სახელმწიფო ინსტიტუტების მმართველობითი ფუნქციები და მერე დავაზუსტოთ თუ რომელი ფუნქცია რომელმა ინსტიტუტმა უნდა შეასრულოს.იმისათვის, რომ საზოგადოებაში დავამკვიდროთ სამართლიანობის განცდა, საკუთრების საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. უნდა მივაღწიოთ მდგომარეობას, როდესაც მესაკუთრეებს არ მოუწევთ უდანაშაულობის მტკიცება.

საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტები გადაწყვეტა რთული საკითხია. ჩვენი კომფლიკტების მოგვარება მრავალმხრივი საერთაშორისო პროცესია. ამ პრცესის რიგ საკითხებში ძლიერი პოზიციები გვაქვს და ეს „კოზირი“ უნდა გამოვიყენოთ. მთავარი აქცენტი უნდა გადავიტანოთ კომფლიკტების ჰუმანიტარულ მხარეზე, ანუ ლტოლვილებსა და მათ უფლებებზე. უნდა მივაღწიოთ იმის აღიარებას, რომ ამ ადამიანებს აქვთ საკუთარ მიწაზე უპირობო დაბრუნების უფლება და შემდეგ მოვიფიქროთ ამ პროცესის უზრუნველყოფის პოლიტიკური, სამართლებრივი და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

დავით ბაქრაძის საარჩევნო პროგრამა

მომავალი პრზიდენტის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს: აკონტროლოს მთავრობა ხალხთან ერთად, რომ საკუთარი ენერგია და რესურსი მთავრობამ დახარჯოს საარჩევნო დაპირებების შესასრულებლად-ხალხის დასასაქმებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად, სოფლის დასახმარებლად, სოციალური დაცვის გასაუმჯობესებლად! სწორედ ეს უნდა იყოს ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის ძირითადი ამოცანა: გააკონტროლოს მთავრობა ხალხთან ერთად, რომ საკუთარი ენერგია და რესურსი მთავრობამ დახარჯოს საარჩევნო დაპირებების შესასრულებლად -ხალხის დასასაქმებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად, სოფლის დასახმარებლად, სოციალური დაცვის გასაუმჯობესებლად!

სწორედ ამიტომ, მე როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ვთავაზობ მთავრობას, ერთად გადავდგათ 3 ნაბიჯი ეკონომიკის გაჯანსაღების და ასეულობით ათასი ქართული ოჯახის უკეთ ცხოვრებისათვის:

• გავაგრძელოთ გადასახადების შემცირება, რითაც თითოეული ოჯახი მეტ შემოსავალს მიიღებს;

• უარი ვთქვათ ახალი რეგულაციების შემოღებაზე, რითიც შევქმნით სტაბილურ საინვესტიციო გარემოს და მოვიზიდავთ ინვესტიციებს;

• მოვახდინოთ ეკონომიკური ამინისტირება და ბიზნესის სრული დეკრიმინალიზაცია, რითიც ბიზნესს შევუქმნით დაცულობის განცდას და სწორედ დაცული და გაფართოებული ბიზნესის შედეგად, შევქმნით ახალ სამუშაო ადგილებს.

კობა დავითაშვილის საარჩევნო პროგრამა

საქართველოსთვის საინტერესო არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს არის ჩვენი ამოსავალი წერტილი. სამართლიანობის აღდგენა და სოციალური სამართლიანობა ეს ორი თემა არის მნიშვნელოვანი, რომელშიც ბევრი ქვეთავი შედის. სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს დამნაშავეთა დასჯას, უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას და უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანების აღდგენას. რაც შეეხება სოციალურ სამართლიანობას, ეს ძალიან ბევრ საკთხს მოიცავს: დაწყებული შრომის კოდექსიდან, რომელიც დღეს დასქმებულის სასარგებლოდ არის გადახრილი, გაგრძელებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით. სოციალური სამრთლიანობა და სამართლიანობის აღდგენის თემა ჩემი მოგონილი და საარჩევნო ლოზუნგები არ არის, ეს არის ჩემი ყოველდღიური ცხოვრება.

გიორგი თარგამაძის საარჩევნო პროგრამა

უპირველესი ამოცანებია:

• ქვეყნის გამთლიანება და უსაფრტხოების უზრუნველყოფა;

• საქართველოს ინტეგრირება ევროპულ სტრუქტურებში;

• ეკონომიკური განვითარება და სოციალური კეთილდღეობის მიღწევა;

• განათლების მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

• მართლმადიდებელი ეკლესიისთვის კონსტიტუციურად მინიჭებული განსაკუთრებული ადგილის გარანტირება და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა;

• საქართველოს მუდმივი ღირებულებებისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და მომავალი თაობებისათვის უწყვეტად და უცვლელად გადაცემის ხელშეწყობა.

დღევანდელი ქართულ კონსტიტუციაში უნდა იყოს განსაზღვრული და არნიშნული, რომ სახელმწიფო მხარს უჭერს და აღიარებს მხოლოდ მამაკაცისა და ქალის მიერ შექმნილ ოჯახს. ჩვენ არ დავუშვებთ პრეცედენტს ქვეყანაში, როგორც ერთსქესიანთა სამოქალაქო რეგისტრაციის, ასევე ამის გარდაუვალი სამართლებრივი შედეგის - ერთსქესიანი წყვილებისთვის ბავშვების შვილად აყვანის უფლების მინიჭებას.

თეიმურაზ მჟავია საარჩევნო პროგრამა

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს წინაშე დგას, არის ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების გაყვანა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და წინა რეჟიმებისაგან მემკვიდრეობით დატოვებული მართვის ბოლშევიკური სისტემის დემონტაჟი. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა ეთნიკურად არაქართული მოქალაქეების მიმართ უნდა იყოს ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე; რომ დაუშვებელია ქართულ-აფხაზურ-ოსური „კონფედერაციის“ ანუ ნებაყოფლობით ხელშეკრულებაზე დამყარებული, სამართლებრივად იოლად დაშლადი გაერთიანების შექმნა.

ჩვენი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების უალტერნატივო მიმართულებად ევროატლანტიკურ გაერთიანებასთან სტრატეგიული პარტნიორობა და მაღალი დონის თანამშრომლობა მიმაჩნია, ხოლო საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად ევროკავშირსა და აშშ-ს მივიჩნევ. ამ ურთიერთობების განვითარების ახალი ფაზა უსათუოდ იქნება ევროკავშირში საქართველოს ასოცირებულ წევრად მიღება, რის ოფიციალურ გამოცხადებას ვილნიუსის სამიტზე მოველით.

პრეზიდენტობის კანდიდატები

მამუკა ჭოხონელიძე

18

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 18
დაბადების თარიღი/ადგილი — 1965 წლის 7 მარტი, ქ.ტყვარჩელი.
უმაღლესი განათლება: დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მამუკა მელიქიშვილი

21

წარმდგენი: საინიციატივო ჯგუფი
რიგითი ნომერი — 21
დაბადების თარიღი/ადგილი — 1974 წლის 27 მარტი.
განათლება: მცირე აკადემია, ბიზნესი, საერთაშორისო ურთიერთობები.
ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი, ჰყავს ორი შვილი.

თეიმურაზ მჟავია

22

პარტია: “ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია”
რიგითი ნომერი — 22
დაბადების თარიღი/ადგილი — 1952 წლის 5 იანვარი. ქ.ოზურგეთი.
უმაღლესი განათლება: დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

წყარო:
www.prezidenti.ge
www.ivote.ge

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სოციოლოგიურ გამოკითხვაში 47%-ს გიორგი მარგველაშვილი, 15%-ს დავით ბაქრაძე, 12%-ს კი ნინო ბურჯანაძე მოსწონს

გამოკითხვა 5-6 ოქტომბრის მდგომარეობით

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ, 2013 წლის 5-6 ოქტომბერს ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვაში, გიორგი მარგველაშვილი, დავით ბაქრაძე და ნინო ბურჯანაძე ლიდერობენ. გამოკითხვაში: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, მონაწილეობა 1000-მა რესპოდენტმა მიიღო. სოციოლოგიური კვლევა თბილისში, 2013 წლის 5-6 ოქტომბერს, ექვს სხვადასხვა ხალხმრავალ ადგილას, მოქალაქეების გამოკითხვის შერჩევითი პრინციპით ჩატარდა.

რესპოდენტებმა შემდეგ კითხვებს გასცეს პასუხი: „იღებთ თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?“, „მომავალმა პრეზიდენტმა, რომელ ეროვნული მნიშვნელობის საკითხში უნდა შეცვალოს სტრატეგია შედეგის მისაღწევად?“, „საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე რომელი კანდიდატი მოგწონთ?“, „რომელი ინსტიტუტების შესუსტებას/გაძლიერებას გამოიწვევს საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა?“, „რა განაპირობებს საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას?“, „საჭიროებს თუ არა ქართული პოლიტიკა ახალ სახეებს?“

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, ასე გადანაწილდა:

1.იღებთ თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?
1.დიახ- 78 %
2. არა - 14 %
3. არვიცი - 7 %
4.მიჭირს პასუხის გაცემა -1%

2. თქვენი აზრით, მომავალმა პრეზიდენტმა რომელ ეროვნული მნიშვნელობის საკითხში უნდა შეცვალოს სტრატეგია შედეგის მისაღწევად?
1. ტერიტორიული მთლიანობა- 61 %
2. სოციალური პოლიტიკა-21 %
3.საგარეო პოლიტიკური კურსი-6 %
4.დემოგრაფიული კრიზისი-3 %
5. უმცირესობების უფლებები-6
88.სხვა- 3 %

3. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე რომელი კანდიდატი მოგწონთ?
გიორგი მარგველაშვილი-47 %
დავით გაქრაძე-15%
ნინო ბურჯანაძე-12 %
შალვა ნათელაშვილი-5 %
ჯერ არ გადამიწყვეტია-21%

4. როგორ ფიქრობთ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა გამოიწვევს:
1. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება- 37 %
2. ხელისუფლების კონტროლი-15 %
3. მთავრობის გავლენის შესუსტება-32 %
4. საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაძლიერება- 16 %

5.რა განაპირობებს საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას?
1. ცესკოს მიმართ ნდობა - 16 %
2. ახალი ხელისუფლებისადმი ნდობა- 30 %
3 საერთაშორისო დამკვირვებლების ყურადღება- 23 %
4. მოქალაქეების აქტივობა და რწმენა სამართლიანი არჩევნებისადმი - 31 %

6.თქვენი აზრით, საჭიროებს თუ არა ქართული პოლიტიკა ახალ სახეებს?
1. დიახ, საჭიროებს - 91 %
2. არა, არ საჭიროებს- 9 %

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სოციოლოგიურ გამოკითხვას თბილისში, ორგანიზაციის გუნდის მონაწილეობით, ორგანიზაციის მთავარი სოციოლოგი ნინო ღაჭავა ხელმძღვანელობდა. სოციოლოგიური გამოკითხვის პრეზენტაციას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, სოციოლოგები და საექსპერტო წრის წარმომადგენლები დაესწრნენ. გამოკითხვის შედეგებს, ორგანიზაცია დიპლომატიურ კორპუსს გადაუგზავნის.

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers"არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"
რედაქტორი: სოფიო ლეჟავა; *პასუხისმგებელი რედაქტორი:* ჯაბა სირაბიძე
ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო: არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი
ორგანიზაციის გუნდი: სოფიო ლეჟავა, მარიამ ნეფარიძე, ნინი ჯაჯანიძე, ნინო ღაჭავა, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, ლევან ბერაძე, ჯაბა სირაბიძე, გიგა ასანიშვილი, რობი გეთიაშვილი, კახი სანიკიძე
სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; გუკა ბაკურაძე - **ოფისს-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**
ახალგაზრდა ადვოკატები YOUNG BARRISTERS
მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;
E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები